

კვლევა კლიმატის ცვლილებების მეცნიერული საფუძვლებისა და პოლიტიკის შესახებ პროექტის - NEVERMORE ცენტრში

2022 წლის 28 და 29 ივნისს, 8 სხვადასხვა ქვეყნიდან შეიკრიბა 16 პარტნიორი (როგორც ფიზიკურ, ასევე ონლაინ ფორმატში) იმისთვის, რომ დაეწყოთ პროგრამის "ჰორიზონტი ევროპა" ახალი პროექტის "ახალი ხედვები და ხელსაწყოები მომხმარებლისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის, საერთო მოდელირების მიდგომის წყალობით კლიმატის ნეიტრალური და გამძლე საზოგადოების მიმართ" (NEVERMORE) განხორციელება.

პროექტი, რომლის პარტნიორი არის ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია, მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს კლიმატის მეცნიერული საფუძვლებისა და კლიმატის პოლიტიკის კვლევას. ყურადღება გამახვილებულია მოდელირების თეორიაზე, რათა გადაიდგას მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი არსებული სილოს მიდგომის დასაძლევად* ინტეგრირებული შეფასების სასარგებლოდ, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების, რისკებისა და ურთიერთქმედებების შესაფასებლად სექტორებში; ასევე ადაპტაციისა და შერბილების ზომები კლიმატის ნეიტრალური და მდგრადი საზოგადოების მიმართ, ეყრდნობა მრავალრიცხოვან უკუკავშირს, რომელიც ხდება კლიმატის ცვლილებაში ჩართულ ცვლადებს შორის.

ტრენტოში ორი დღის ინტენსიური მუშაობის განმავლობაში, პროექტის ლიდერის, ბრუნო კესლერის ფონდის შტაბ-ბინაში, პარტნიორებმა განიხილეს სამომავლო ნაბიჯები და გაცვალეს თავიანთი საპროექტო იდეები და ხედვები.

კერძოდ, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია პასუხისმგებელი იქნება პროექტის ეფექტური კომუნიკაციისა და გავრცელების სტრატეგიის შემუშავებაზე. ეს უკანასკნელი მოიცავს ხუთი ადგილობრივი და ერთი ტრანსნაციონალური დაინტერესებული მხარის საბჭოების შექმნას. აღნიშნული საბჭოები მოისაზრებენ ყველა იმ აქტორის მონაწილეობას, რომლებიც კონკრეტულად არიან ჩართულნი კლიმატის ცვლილებასა და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკაში.

ახალი პროექტის - NEVERMORE ფარგლებში, კლიმატის მეცნიერული საფუძვლებისა და კლიმატის პოლიტიკის მხარდაჭერა

შეხვედრის დროს, პროექტის პარტნიორებმა წარმოადგინეს თავიანთი დაგეგმილი საქმიანობა მომდევნო ოთხი (4) წლის განმავლობაში და ხუთი (5) შემთხვევის შესწავლის გეოგრაფიული არეალი.

1. სიტია, კრეტას კუნძული (EL), რომელიც განვითარებულია სოფლის მეურნეობითა და ტურიზმით. მთავარი გამოწვევებია: ზღვის დონის მატება; წყალდიდობა და გვალვა; ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებლობა; კვებითი უსაფრთხოება და არქეოლოგია.
2. ტრენტინოს რეგიონი (IT) მთიანი რეგიონია, რომლის ძირითადი სტრატეგიული დარგია ტურიზმი (ძირითადად ზამთარი) და აწარმოებს ენერჯიას. რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევებია: ტემპერატურის მატება, არაპროგნოზირებადი ნალექი, შეცვლილი სეზონური კლიმატის დინამიკა.
3. ვესტერბოტენისა და ნორბოტენის ოლქების ბორეალის რეგიონი (SE) ცნობილია ენერჯიის წარმოებით, ტურიზმითა და მეცხოველეობით; რეგიონის გამოწვევებია ტემპერატურის ზრდა, რაც იწვევს არაპროგნოზირებად ამინდს და ცვლის სეზონური კლიმატის დინამიკას.
4. მურსიის რეგიონი (ES), ხმელთაშუა ზღვის რეგიონი სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტით. რეგიონი ცნობილია სოფლის მეურნეობით, ტურიზმითა და მრეწველობით. გამოწვევად სახელდება გაუდაბნობა სასოფლო-სამეურნეო სისტემებში ნიადაგის ეროზიის გამო და საჭიროებს უფრო მდგრადი წყლის მართვის სისტემას.
5. ჭაობი დუნაის დელტაში (RO), სადაც სოფლის მეურნეობა, განათლების დაბალი დონე და ეკონომიკური დამოკიდებულება ტერიტორიის საერთო სურთია. აქედან გამომდინარე, საჭიროა გარემოსა და ეთნიკური სიმდიდრის დაცვა, მდგრადი ტურიზმის, ეკო-სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა და მიწის რესურსების უკეთესი მართვა.

საერთო ჯამში, ეს ორი დღე წარმატებული დასაწყისი იყო. შეიქმნა კარგი კავშირი, რომელმაც მოამზადა ნიადაგი პროექტის განხორციელებისთვის მომდევნო ოთხი (4) წლის განმავლობაში.

თვალყური ადევნეთ და მიჰყევით პროექტის სოციალურ გვერდებს: [TWITTER](#) | [INSTAGRAM](#) | [YOUTUBE](#)

პროგრამის "ჰორიზონტი ევროპა" ახალი პროექტის (NEVERMORE) პარტნიორებია:

- ავსტრია: სოციალური ინოვაციების ცენტრი (ZSI);
- საფრანგეთი: ევროპის ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის (ALDA);
- გერმანია: პოტსდამის კლიმატზე ზემოქმედების კვლევის ინსტიტუტი (PIK);
- საბერძნეთი: სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი „დემოკრიტოსი“ (NCSR), მუნიციპალიტეტი სიტა;
- იტალია: ბრუნო კესლერის ფონდი (FBK), რინა კონსალტინგი, კლიმატის ცვლილების ევრო-ხმელთაშუა ზღვის ცენტრი (CMCC), ტრენტოს ავტონომიური პროვინცია (PAT);
- რუმინეთი: პროგრამული წარმოსახვა და ხედვა SRL (SIMAVI), ტულჩეას საგრაფო პრეფექტურა;
- ესპანეთი: ტექნოლოგიური ცენტრი CARTIF, ვალადოლიდის უნივერსიტეტი (UVa), მურსიის რეგიონის განვითარების ინსტიტუტი (INFO Murcia);
- შვედეთი: შვედეთის გარემოსდაცვითი კვლევითი ინსტიტუტი (IVL), Energikontor Norr- ჩრდილოეთ შვედეთის ენერგეტიკის სააგენტო.